ა(ა)იპ „საერთაშორისო ინიციატივა განვითარებისა და თანადგომისათვის“ დირექტორის

ბრძანება № 007

ქ. თბილისი

5/02/2021

საარსებო წყაროებზე ხელმისაწვდომობის ზრდის პროგრამის, განათლების ხელმისაწვდომობის ზრდის ქვეპროგრამისა და შესაბამისი დებულების დამტკიცების შესახებ

ააიპ „საერთაშორისო ინიციატივა განვითარებისა და თანადგომისათვის“ წესდების 1 მუხლის 1,10; 1,11; 1,12 და 1,13 პუნქტების, მე-3 მუხლის 2,2 პუნქტის; მე-5 მუხლის, 5,3 პუნქტის, 5,3,2 და 5,3,4 ქვეპუნქტების თანახმად.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. დამტკიცდეს ააიპ „საერთაშორისო ინიციატივა განვითარებისა და თანადგომისათვის“ (შემდგომში ორგანიზაცია) **განათლების ხელმისაწვდომობის ზრდის** ქვეპროგრამა (შემდგომში ქვეპროგრამა) და შესაბამისი თნდართული დებულება.
2. ქვეპროგრამის დაფინანსების წყაროდ განისაზღვროს სახელმწიფო ბიუჯეტი. აფხაზეთის ა/რ ბიუჯეტი.
3. ქვეპროგრამის საერთო ბიუჯეტი განისაზღვროს - 8500 ლარი
4. ქვეპროგრამა განხორციელდეს ღია კონკურსით, კონკურენტულ და თანაბარუფლებიან პირობებში. კონკურსის წესი და პირობები განისაზღვროს/დამტკიცდეს თანდართული დებულებით (დანართი#1).
5. ქვეპროგრამის ფარგლებში, გამოცხადდეს ღია კონკურსი, რომლის ფარგლებში:
   5.1. განაცხადების მიღება დაიწყოს 8/02/2021, 12:00 სთ-დან და დასრულდეს 10/12/2021, 18:00 სთ-ზე.
   5.2. ქვეპროგრამით გათვალისწინებული ბიუჯეტის ამოწურვის შემდგომ, ორგანიზაცია უფლრბამოსილია უარი თქვას განაცხადების მიღებაზე, მათ შორის ბრძანებით გათვალისწინებულ ვადებშიც.
   5.3. ქვეპროგრამის ბიუჯეტის ამოწურვის შესახებ და განაცხადების მიღების შეწყვეტის შესახებ 2 სამუშაო დღეში, ინფორმაცია უნდა განთავსდეს ორგანიზაციის ოფიციალურ ვებ-გვერდზე და ფეისბუკ-გვერდზე. ინფორმაციის განთავსება ევალება ორგანიზაციის კონკურსებისა და პროგრამების მენეჯერს.
   5.4. გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით, ქვეპროგრამის ფარგლებში შემოსული განაცხადების განხილვა ეთხოვოს ორგანიზაციის, პროგრამების ფარგლებში შემოსული განაცხადების შეფასების მუდმივმოქმედ კომისას (შემდგომში კომისია):
   5.5. შემოსული განაცხადების განხილვისას და შეფასებისა, კომისია ვალდებულია იხელმძღვანელოს, კომისიის დებულებით (ორგანიზაციის დირექტორის ბრძანება 24/03/2020 №005; ბრძანება 04/02/2021 №005) და მოცემული ბრძანებითა და თანდართული დებულებით (დანართი #1);
   5.6. დაევალოს ორგანიზაციის კონკურსებისა და პროგრამების მენეჯერს-კომისიის მდივანს, კომისიის მუდმივი წევრებისათვის დაუყოვნებლივ ბრძანების გაცნობა; კომისიის მოწვეული წევრებისათვის შესაბამისი კომისიის პირველივე სხდომის წინ მოწვევისას. გამოაქვეყნოს მოცემული ბრძანება 2 სამ-ო დღის მანძილზე, ორგანიზაციის ოფიციალურ ვებ-გვერდზე და ოფიციალურ ფეისბუკ-გვერდზე;
6. ქვეპროგრამის მიზანია საქართველოში მცხოვრები აფხაზეთიდან დევნილი პირების განათლების ხელშეწყობა განათლების ხელმისაწვდომობის ზრდის, წახალისებისა და მოტივირების გზით.
7. ქვეპროგრამის ფარგლებში განიხილება მხოლოდ 16-დან 40 წლამდე, აფხაზეთიდან დევნილი, საქართველოს მოქალაქე ფიზიკური პირი, რომელიც თავად-პირადად, განაცხადის გაკეთებით გამოხატავს სურვილს მიიღოს მონაწილეობა პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულ აქტიობებში. აღნიშნული ახალგაზრდები უნდა წარმოადგენდნენ სასწავლო დაწესებულების / სასწავლო პროგრამის – საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ, ქვეყანაში დარეგისტრირებული, აღიარებული, არაფორმალური განათლების, ზოგადი განათლების, პროფესიული განათლებისა და უმაღლესი განათლების, ავტორიზებული დაწესებულებების და მათ მიერ განხორციელებული აკრედიტებული სასწავლო პროგრამების აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტებს/მონაწილეებს;
8. ქვეპროგრამაზე პასუხისმგებელია-ორგანიზაციის კონკურსებისა და პროგრამების მენეჯერი.
9. ბრძანება ძალაშია ხელომოწერისთანავე;
10. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: ქ.თბილისი, დ.აღმაშენებლის ხეივანი მე12 კმ, #6)

IIDS

ორგანიზაციის დირექტორი ვ.ფოჩხუა

საარსებო წყაროებზე ხელმისაწვდომობის ზრდის პროგრამის (შემდგომში პროგრამა), განათლების ხელმისაწვდომობის ზრდის ქვეპროგრამის (შემდგომში ქვეპროგრამა) კონკურსის დებულება

მუხლი 1. კონკურსის მიზანი, აღწერა და მიმართულება

1. კონკურსის მიზანია საქართველოში მცხოვრები აფხაზეთიდან დევნილი პირების განათლების ხელშეწყობა განათლების ხელმისაწვდომობის ზრდის, წახალისებისა და მოტივირების გზით.
2. ა(ა)იპ „საერთაშორისო ინიციატივა განვითარებისა და თანადგომისათვის“ უფლებამოსილია მხარი დაუჭიროს მხოლოდ ისეთი საქმიანობას, რომელიც არ გულისხმობს საქართველოს კანონმდებლობით აკრძალულ საქმიანობას.
3. ა(ა)იპ „საერთაშორისო ინიციატივა განვითარებისა და თანადგომისათვის“ უფლებამოსილია მხარი დაუჭიროს მხოლოდ ისეთი განაცხადს, რომელიც კომისიის შეფასებით გადალახავს შეფასების მინიმალურ ზღვარს და დააკმაყოფილებს ყველა მოთხოვნილ აუცილებელ კრიტერიუმს-პირობას.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

ამ დებულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:
ა) ბენეფიციარი – 16-დან 40 წლამდე, აფხაზეთიდან დევნილი, საქართველოს მოქალაქე ფიზიკური პირი, რომელიც თავად-პირადად, განაცხადის გაკეთებით გამოხატავს სურვილს მიიღოს მონაწილეობა ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულ აქტიობებში;
ბ) სასწავლო დაწესებულება / სასწავლო პროგრამა – საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ, ქვეყანაში დარეგისტრირებული, აღიარებული, არაფორმალური განათლების, ზოგადი განათლების, პროფესიული განათლებისა და უმაღლესი განათლების, ავტორიზებული დაწესებულებები და მათ მიერ განხორციელებული აკრედიტებული სასწავლო პროგრამები;
გ) განხილვა-შეფასება – ორგანიზაციისა და კომისიის მიერ ჩატარებული საქმიანობა, რომლის მიზანია ამ დებულების შესაბამისად გამარჯვებული აპლიკანტ(ებ)ის შერჩევა;
ე) აპლიკანტი – აფხაზეთიდან დევნილი, სრულწლოვანი პირი 18-დან 40 წლამდე, რომელმაც გააკეთა განაცხადი ქვეპროგრამის ფარგლებში დახმარების მოთხოვნით და პირადად არის პასუხისმგებელი მოწოდებული ინფორმაციის სისწორეზე;

მუხლი 3. კონკურსის ფარგლებში ორგანიზაციის მიერ მხარდაჭერის ბიუჯეტი. გამარჯვებული აპლიკანტის მატერიალური მხარდაჭერის ზღვრული ოდენობა

1. გამარჯვებულად გამოცხადებული განაცხადებიით განსაზღვრული მატერიალური მხარდაჭერის საერთო ბიუჯეტია არ უნდა აღემატებოდეს ქვეპროგრამით განსაზღვრულ საერთო ბიუჯეტს;
2. გამარჯვებული აპლიკანტის მატერიალური მხარდაჭერის ზღვრული ოდენობა განისაზღვროს 1125 ლარით.
3. ფინანსური წლის მანძილზე, ერთი და იგივე პირს, მხოლოდ ერთხელ აქვს უფლება იქნეს დაკმაყოფილებული განაცხადში მითითებული მატერიალური მხარდაჭერით.

მუხლი 4. ქვეპროგრამის ფარგლებში გამოცხადებული კონკურსში ჩართული სუბიექტების სტატუსი და უფლებამოსილება

1. ამ დებულებით განსაზღვრული ღონისძიებების შესრულებაზე ზედამხედველობას ახორციელებს ორგანიზაცია.

2. ორგანიზაცია წარმოადგენს ამ დებულების განმახორციელებელ სუბიექტს, რომელიც უზრუნველყოფს:

ა) კონკურსის პოპულარიზაციის მიზნით ინფორმაციის გავრცელებას;

ბ) კონკურსის ფარგლებში განაცხადების მიღებას;

გ) კონკურსანტების განაცხადების მიღებას და საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან ფორმალური შესაბამისობის დადგენას;

დ) მიღებული განცხადებების კომისიის მიერ შეფასების ორგანიზებას;

ე) კომისიის მიერ შერჩეულ და დირექტორის ბრძანებთ, გამარჯვებულ აპლიკანტების შესაბამისი მხარდაჭერით უზრუნველყოფას;

3. კონკურსის ფარგლებში გამარჯვებულთა გამოვლენის მიზნით ორგანიზაცია ქმნის კომისიას და განსაზღვრავს მის უფლებამოსილებას.

4. კომისიის წევრების მომსახურების ღირებულებას, ასევე საჭიროების შემთხვევაში საქართველოში მათი ტრანსპორტირებისა და განთავსების ხარჯებს აფინანსებს ორგანიზაცია.

5. კომისია:

ა) იღებს გადაწყვეტილებას გამარჯვებული აპლიკანტ(ებ)ის გამოვლენის შესახებ;

ბ) ახორციელებს ამ წესით განსაზღვრულ სხვა ფუნქციებს;

6. კომისია გადაწყვეტილებას იღებს ღია კენჭისყრით, კომისიის ხმის უფლების მქონე ერთ წევრს აქვს ერთი ხმის უფლება. კენჭისყრისას ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში, გადამწყვეტი ხმის უფლებით სარგებლობს კომისიის თავმჯდომარე.

7. გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ განსახილველ საკითხს მხარს დაუჭერს კომისიის დამსწრე წევრთა უმრავლესობა.

8. კომისიის გადაწყვეტილება აისახება კომისიის შესაბამისს სხდომის ოქმში.

9. კომისიის ხმის უფლების მქონე წევრი არ შეიძლება იყოს ორგანიზაციის თანამშრომელი.

10. კომისია თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია. არავის აქვს უფლება ჩაერიოს კომისიის საქმიანობაში ან/და მოახდინოს რაიმე ზეგავლენა გადაწყვეტილების მიღების მიზნით.

მუხლი 5. კონკურსში მონაწილეობა

კონკურსში მონაწილეობის მისაღებად განმცხადებელი სრულყოფილად ავსებს სპეციალურ სააპლიკაციო განაცხადს მატერიალური ფორმით ან ელექტრონულ ფორმატში სპეციალურ ვებგვერდზე www.iids.ge. ან/და სრულად შევსებულ და **Pdf** ფორმატში დასკანერებულ განაცხადის ფორმას, აგზავნის ელ.ფოსტაზე:**application@iids.ge**; **application.iids@gmail.com**

მუხლი 6. საკვალიფიკაციო მოთხოვნები

1. ქვეპროგრამის ფარგლებში ორგანიზაციის მიერ გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია 16-40 წლამდე, საქართველოს მოქალაქე აფხაზეთიდან დევნილ ფიზიკურ პირს;

2. აპლიკანტი, რომელიც ვერ აკმაყოფილებს ქვეპროგრამის პირობებს და მოთხოვნებს, უნდა იქნეს დისკვალიფიცირებული;

მუხლი 7. კონკურსის ფარგლებში შემოსული განაცხადების განხილვის ეტაპები

1. ქვეპროგრამის ფარგლებში ორგანიზაციის მიერ გამოცხადებული კონკურსი შედგება შემდეგი ეტაპებისგან:

ა) **ღია კონკურსის გამოცხადება**- ქვეპროგრამის ფარგლებში ღია კონკურსის გამოცხადება ვადებისა და პირობების საჯაროდ გამოქვეყნებით;

ბ) **განაცხადების მიღება**;

გ) **კომისიის მუშაობა, გამარჯვებულ(ებ)ის გამოვლენა** - კომისიის მიერ აპლიკანტ(ებ)ის შერჩევა ქულების სისტემით (და საჭიროების შემთხვევაში შერჩეული აპლიკანტების პრეზენტაცია). კომისიის მიერ გამარჯვებული აპლიკანტ(ებ)ის გამოვლენა;

ე) **დაკმაყოფილების გადაწყვეტილება** - გამარჯვებული აპლიკანტების მოთხოვნის დაკმაყოფილების გადაწყვეტილება და შესრულება.

2. შერჩევა-შეფასების შედეგად გამარჯვებულად გამოცხადებისა და მოთხოვნის დაკმაყოფილების გადაწყვეტილების შემდგომ ხორციელდება გამარჯვებული აპლიკანტ(ებ)ის ქვეპროგრამით გათვალისწინებული მატერიალური მხარდაჭერა.

3. ქვეპროგრამის ფარგლებში ორგანიზაციის მიერ გამოცხადებული კონკურსის ეტაპების ვადები:

რ-ბა	ეტაპის დასახელება	ეტაპის დასაწყისი	ეტაპის დასასრული	შენიშვნა
1	ღია კონკურსის გამოცხადება	08/02/21	10/12/21	
2	განაცხადების მიღება	08/02/21	10/12/21	
3	კომისიის მუშაობა, გამარჯვებულ(ებ)ის გამოვლენა	15/02/21	25/12/21	*ნებისმიერი კონკრეტული განაცხადის მიღებიდან არაუმეტეს 30 სამუშაო დღე

4	დაკმაყოფილების გადაწყვეტილება	15/02/21	30/12/21	არაუმეტეს 10 სამუშაო დღე*

მუხლი 8. კონკურსის გამოცხადება

1. კონკურსის გამოცხადების შესახებ ინფორმაცია და ქვეპროგრამის დებულება, აგრეთვე ნებისმიერი ცვლილება უნდა გასაჯაროვდეს, გამოქვეყნდეს ორგანიზაციის ოფიციალურ ვებ-გვერდზე და ფეისბუკ-გვერდზე 2 სამუშაო დღის მანძილზე.

მუხლი 9. განაცხადების მიღება

1. ქვეპროგრამის ფარგლებში გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობის მიღების მსურველთა განახადების მიღება უნდა განხორციელდეს კომისიის მიერ შეფასების დაწყებამდე;

2. კონკურსში მონაწილეობის მიღების მსურველთა განაცხადების მიღება უნდა განხორციელდეს მატერიალური ან/და ელექტრონული ფორმით. განაცხადების კონფიდენციალურობას და დაცულობას უზრუნველყოფს ორგანიზაცია;

3. ქვეპროგრამის ფარგლებში მიიღება განაცხადები, რომელთა აპლიკანტი დახმარებას ითხოვს პირადად, განათლების ხელმისაწვდომობის ზრდის მიზნით.

4. განაცხადების მიღების ვადის ამოწურვის შემდგომ მოწოდებული, ან არასრულად/არასწორად შევსებული განაცხადები არ გადავა შემდეგ ეტაპზე და არ განიხილება კომისიის მიერ.

მუხლი 10. კომისიის მიერ განაცხადების შერჩევა ქულების სისტემით

1. კომისია განაცხადების შერჩევისას და შეფასებისას ხელმძღვანელობს ქვემდებარე ცხრილში (#1) მოცემული საკვალიფიკაციო მოთხოვნებით-აუცილებელი პირობებით:

ცხრილი (#1) საკვალიფიკაციო მოთხოვნა-აუცილებელი პირობა	შესაბამისობის დამადასტურებელი დოკუმენტი
ბენეფიციარი/აპლიკანტი უნდა იყოს 16-40 წლის, საქართველოს მოქალაქე, აფხაზეთიდან დევნილი პირი;	-ვადიანი პირადობის მოწმობის ასლი. -დევნილობის მოწმობის ასლი, ვადიანი
ცნობა შესაბამისი სასწავლო დაწესებულებიდან; დოკუმენტი რომელიც ადასტურებს, რომ ბენეფიციარი იღებს განათლებას და მას სჭირდება მატერიალური დახმარება აღნიშნული მიზნით გადასახდელი თანხის და ვადების მითითებით; ნიშნების ფურცელი და ცნობა სტუდენტის სტატუსის შესახებ.	-ცნობა შესაბამისი სასწავლო დაწესებულებიდან; დოკუმენტი რომელიც ადასტურებს, რომ ბენეფიციარი იღებს განათლებას და მას სჭირდება მატერიალური დახმარება აღნიშნული მიზნით გადასახდელი თანხის და ვადების მითითებით; ნიშნების ფურცელი და ცნობა სტუდენტის სტატუსის შესახებ.
ინვოისი, ოდენობების და ფასების მითითებით	-დოკუმენტი, სასწავლო დაწესებულების მონაცემების (დასახელება, ს/კ, საბანკო); ბენეფიციარის მონაცემების; ფასებისა და ვადების მითითებით

2. მოცემული დებულების მე-10 მუხლის 1 პუნქტის მოთხოვნები დაკმაყოფილების შემდგომ, კომისია განაცხადების შერჩევისას და შეფასებისას ხელმძღვანელობს ქვემდებარე ცხრილში (#2) მოცემული კრიტერიუმებითა და პრიორიტეტებით:

კრიტერიუმი/პრიორიტეტი	**ცხრილი (#2) ქულების სისტემა**					**კოეფიც**	**დადასტურება**
სოციალური სტატუსი	80001-100000 ქულა	60001-80000 ქულა	40001-60000 ქულა	30001-40000 ქულა	< ან = 30001 ქულა	2,5	ცნობა სოციალური სააგენტოდან ქულების მითითებით (მაქ. 1 თვიანი ხანდაზმულობ.)
	1	2	3	4	5		
ომის ვეტერანის და ომში მონაწილის სტატუსის მქონე პირის ოჯახის წევრობა	სამხედრო ძალების ვეტერანი	ომის შედეგად მარჩენალდაკარგული პირი; ომში დაღუპულის ოჯახის წევრი	ომის მონაწილე და ომის მონაწილესთან გათანაბრებული	ომის შედეგად ზომიერად გამოხატული შეზღ.შესაძლებლობის მქონე პირი	ომის შედეგად მკვეთრად და მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღ.შესაძლებლობის მქონე პირი	1.5	ვეტარანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის მიერ გაცემული ვადიანი ვეტერანთა მოწმობა
	1	2	3	4	5		
სპეციალური საჭიროების სტატუსი	1 ხარისხის სპეციალური საჭიროების სტატუსი და ჩამონათვალში არ მოხსენიებული სხვა სპეც.საჭირ-ს კატრეგორიები		მე-2 ხარისხის სპეციალური საჭიროების სტატუსი	მე-3 ხარისხის სპეციალური საჭიროების სტატუსი	მე-4 ხარისხის სპეციალური საჭიროების სტატუსი	1,5	სამედიცინო სოციალური ექსპერტიზის ბიუროს მიერ გაცემული ცნობა (ვადიანი)
	2		3	4	5		

მრავალშვილიანი ოჯახი; ორსული, ობოლი	ორსული, ობოლი	სრულწლოვანი, მცხოვრები 2 არასრულწლოვან თან ერთად	სრულწლოვანი, მცხოვრები 3 არასრულწლოვან თან ერთად	სრულწლოვანი, მცხოვრები 4 არასრულწლოვანთ ან ერთად	არასრულწლოვანი, მცხოვრები 5 არასრულწლოვანთ ან ერთად	1,5	ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ - ფორმა # IV-100/ ა -ოჯახის წევრი არასრულწლოვნების დაბადების მოწმობები, გარდაცვალების მოწ-ბა.
	1	2	3	4	5		
დისემინაცია	სუსტი (3 პირამდე)	საშუალო (5 პირამდე)	საშუალოზე მეტი (10 პირამდე)	ძლიერი (20 პირამდე)	მომეტებულად ძლიერი (20 პირზე მეტი)	1,5	პირადობის მოწმობა
	1	2	3	4	5		
ბოლო სასწ.სემესტრის აკადემიური მოსწრება GPA ან ვერცხლის/ოქროს მედალოსანის სერთიფიკატი	**1.0-1.5 GPA**	**1.6-2.0 GPA**	**2.1-2.5 GPA**	**2.6-3.0 GPA /** ვერცხლის მედალოსანის სერთიფიკატი	**3.1-4.0 GPA /** ოქროს მედალოსანის სერთიფიკატი	**3,0**	ცნობა შესაბამისი სასწავლო დაწესებულებიდა. ოქროს და ვერცხლის მედლის სერტიფიკატი (ვადიანი)
	1	2	3	4	5		
მოთხოვნილი თანხა	701-900 ლარი	501-700 ლარი	401-500 ლარი	301-400 ლარი	1-300 ლარი	**2,0**	აპლიკაცია
	1	2	3	4	5		

3. მოცემული დებულების მე-10 მუხლის 1 პუნქტის მოთხოვნები დაკმაყოფილების შემდგომ, კომისიის მიერ, მოცემული დებულების მე-10 მუხლის 2 პუნქტის ცხრილი(#2)-ის მიხედვით განაცხადების შეფასების შემდგომ, შეფასების შემდგომ ეტაპზე გადადის მხოლოდ ის განაცხადები, რომლებმაც დააგროვეს **მინიმალური გადამსვლელი 15 ქულა.** განაცხადისათვის, მინიმალური გადამსვლელი 15 ქულის მიღება აუცილებელი, მაგრამ არა საკმარისი პირობაა შეფასების შემდეგ საფეხურზე გადასვლისათვის;

4. მინიმალური გადამსვლელი ქულისა და უფრო მაღალქულიანი შედეგების მქონე აპლიკანტები, შემდგომი შეფასების მიზნით, კომისიის გადაწყვეტილებით, შესაძლოა მოწვეულ იქნან განაცხადის-პროექტის პრეზენტაციისათვის, რის შესახებაც ეცნობებათ აპლიკანტებს. კომისია უფლებამოსილია მოითხოვოს ელექტრონული ფორმით პრეზენტაცია ან/და ონლაინ პრეზენტაცია სხვადასხვა საკომუნიკაციო პლატფორმების საშუალებით;

5. აპლიკანტების შეფასებისას, თანაბარი ქულების დაგროვების შემთხვევაში, პრიორიტეტულად ჩაითვლება განაცხადი, რომელმაც პრიორიტეტში- **აკადემიური მოსწრება** უფრო მეტი ქულა მოიპოვა ჯამში. თუ მოცემული კრიტერიუმითაც თანაბარი ქულებით არიან წარმოდგენილი, მაშინ განმსაზღვრელია-მეტი ქულა ჯამში **სოციალური სტატუსი**-ს კრიტერიუმში. თუ კვლავ თანაბარქულიანებია განაცხადები, გადამწყვეტი კრიტერიუმია-**მოთხოვნილი თანხის მოცულობა**, პრიორიტეტი მიენიჭება იმ განაცხადს, რომლის მიხედვითაც ნაკლებია ორგანიზაციიდან მოთხოვნილი თანხა.

მუხლი 11. დაკმაყოფილების გადაწყვეტილება

1. კომისიის საბოლო გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს შესაბამის ოქმში და წარეგდინოს ორგანიზაციის დირექტორს შემდგომი რეაგირებისათვის. ორგანიზაციის დირექტორი უფლებამოსილია გაითვალისწინოს კომისიის გადაწყვეტილება და დააკმაყოფილოს იგი ან დასაბუთებული უარი თქვას მის განხორციელებაზე;
2. ორგანიზაციის დირექტორის დადებითი გადაწყვეტილების საფუძველზე, კომისიის გადაწყვეტილების შესაბამისად გამარჯვებული განაცხადის შესაბამისად ხდება აპლიკაციის მოთხოვნის დაკმაყოფილება;
3. დირექტორის დადებითი გადაწყვეტილების საფუძველი შეიძლება იყოს კომისიის მიერ აპლიკანტის გამარჯვებულად გამოვლენა;
4. დაკმაყოფილების გადაწყვეტილების, შეჩერების, შეცვლისა და შეწყვეტის შესაახებ გადაწყვეტილებას იღებს ორგანიზაციის დირექტორი და რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით;

გამარჯვებულ აპლიკანტთის დაკმაყოფილების გადაწყვეტილება შესაძლოა მიღებულ იქნას, კომისიის გადაწყვეტილებიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა;

მუხლი 12. ქვეპროგრამის ფარგლებში განაცხადის ფორმები:

1. განაცხადის სავალდებულო შესავსები ფორმა წარმოდგენილია დანართი#2-ის სახით;
2. ქვემოთ მოყვანილ ფორმაში არსებობს ველები, რომლებიც ივსება არსებობის შემთხვევაში (მაგ: თუ ბენეფიციარი არის სოციალურად დაუცველის სტატუსით ან/და ომის ვეტერანი ან/და სპეციალური საჭიროების მქონე პირი ან/და ორსული, ობოლი დ.ა.შ);

დანართი #2

ა(ა)იპ „საერთაშორისო ინიციატივა განვითარებისა და თანადგომისათვის“

განაცხადის ფორმა

განათლების ხელმისაწვდომობის ზრდის ქვეპროგრამა

აპლიკანტის/ბენეფ-ის მონაცე				

*აპლიკანტის მონაცემებში შეტანილი ინფორმაციის შესაბამისად გთხოვთ, წარმოადგინოთ ვადიანი დოკუმენტების ასლები: *პირადობის მოწმობა, ლევნილის მოწმობა;*

ინფორმაცია ა(ა)იპ „საერთაშორისო ინიციატივა განვითარებისა და თანადგომისათვის“ პროგრამების ფარგლებში შემოსული განაცხადების შეფასების მუდმივმოქმედ კომისიის (შემდგომში კომისია) შეფასებისათვის:

(არსებობის შემთხვევაში, გთხოვთ, შეავსოთ ინფორმაცია და წარმოადგინოთ შესაბამისი ვადიანი დოკუმენტი)

ბენეფიციარის აკადემიური სტატუსი:		**ბენეფიციარის სასწავლო სტატუსია:**	
სასწავლო დაწესებულების დასახელება:			
მიუთითეთ მიმდინარე GPA ან მედალი:		**შესაბამისი დოკუმენტის გამცემი ორგანო**	

*ცნობა შესაბამისი სასწავლო დაწესებულებიდან, ნიშნების ფურცელი, სტუდენტის სტატუსის ცნობა.(ვადიანი), ოქროს და ვერცხლის მედლის სერტიფიკატი.

დისემინაცია, აღწერა:

სოციალური სტატუსი:		ქულა:	

*ცნობა სოციალური სააგენტოდან ქულების მითითებით (მაქ. 1 თვიანი ხანდაზმულობ.)

ომის ვეტერანის და ომში მონაწილის სტატუსის მქონე პირის ოჯახის წევრობა:	

*ვეტარანების საქმეთა სახელმწიფო საამსახურის მიერ გაცემული ვადიანი ვეტერანთა მოწმობა და დამადების მოწმობა

სპეციალური საჭიროების სტატუსი:	

*შესაბამისი სამედიცინო დაწესებულების ან სახელმწიფო საამსახურის მიერ გაცემული ვადიანი ცნობა ან/და მოწმობა

☐	ბენეფიციარი მრავალშვილიანი ოჯახიდან არის;	ბენეფიციარის ოჯახში არასრულწლოვანთა რაოდენობა:	*-ოჯახის წევრი არასრ-ების დაბ-ს მოწ-ი
☐	ბენეფიციარი ორსულია;	*-ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ - ფორმა # IV-100/ა	
☐	ბენეფიციარი ობოლია;	*-გარდაცვლილი მშობლის გარდაცვალების ცნობა/დამადების მოწმობა	

მოთხოვნილი თანხა: _____ ლარი *-წარმოგდენილია ინვოისი თანხაზე: _____ ლარი და _____ თეთრი

მე, ზემოთ მითითებული აპლიკანტი ვადასტურებ, რომ გავეცანი ქვეპროგრამის დებულებას და სხვა ყველა საჭირო დოკუმენტს ქვეპროგრამაში მონაწილეობისათვის, რასაც ვთანხმები. აღნიშნული ფორმა-დანართი#2 შევავსე პირადად და მითითებული ინფორმაცია უტყუარია. ინფორმაციის სიზუსტეზე თავად ვაგებ პასუხს

აპლიკანტის ხელმოწერა - - -